

რა ბედი ელის ქართულ ლარს და მოსალოდნელია მისი ბაკჟონება?

გაზეთი “ყველა სიახლე” – 3-9 ივლისი, № 27, 2008

საქართველოს ინფლაციის მაჩვენებელმა კარგა ხანია ერთნიშნა ციფრს გადააჭარბა. საზოგადოება შეშფოთებით ადევნებს თვალს ფასების მატებას და ლარის გაუფასურების პროცესს. ამ პრობლემის თაობაზე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა გვესაუბრება:

– ბატონო ლადო, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით ინფლაციის მაჩვენებელმა უკვე 11,8 პროცენტს მიაღწია. რამდენად შეიძლება ვენდოთ ამ ციფრს? სტატისტიკის დეპარტამენტს ხომ ნახევრად ხუმრობით „ბენდუქიძის კანტორას“ უწოდებენ?

– მე უკვე დიდი ხანია ვლაპარაკობ სტატისტიკის შესახებ. ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა ქართულ სინამდვილეში არის ის, რომ სტატისტიკა არ არის დამოუკიდებელი მთავრობისაგან. ეს დეპარტამენტი სწორედ მთავრობისაგან იმართება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ეჭვით უნდა შევხედოთ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც სტატისტიკის დეპარტამენტი აქვეყნებს. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, იანვრის თვეში დეპარტამენტის მიერ გათვლილი ინფლაციის მაჩვენებელი მთავრობამ 1/3-ით შეამცირა, ასე, რომ თუ ოფიციალური მონაცემებით ინფლაციის კოეფიციენტი 12 პროცენტს მიუახლოვდა, ე. ი. რეალურად მისი მაჩვენებელი 18 პროცენტი მაინცაა. თუმცა, მთავარი მაინც სულ სხვა რამ არის: მთავარია, რამდენი გახდა ჩვენს ბანკებში საპროცენტო განაკვეთი. სტატისტიკის დეპარტამენტს რაც უნდა ბევრი ტყუილი ათქმევინონ პოლიტიკური მიზნების გამო, კომერციული ბანკები რეალურად აფასებენ, თუ რა მდგომარეობაა საფინანსო ბაზარზე. ახლა, როდესაც საპროცენტო განაკვეთი 36 პროცენტამდე ავიდა, შეიძლება ითქვას, რომ ინფლაცია მართლაც მაღალია. მაღალია არა მარტო დღეს არსებული ინფლაციის დონე, არამედ ინფლაციური მოლოდინიც. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი მეტი უნდა იყოს ინფლაციაზე, სხვაგვარად ბანკები

ფულს დაკარგავენ. აქედან გამომდინარე, ინფლაცია არის სადღაც 18-სა და 32 პროცენტს შორის. ზუსტად რამდენია ინფლაციის კოეფიციენტი, ამას ვერც მე გეტყვით და ვერც ვერავინ.

– ესე იგი ეს რიცხვი საიდუმლოა, მაინც ვინ იცის ის დანამდვილებით?

– ინფლაციის მაჩვენებლის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ყოველდღიური დაკვირვებით ყველა სასაქონლო ჯგუფზე მთელი საქართველოს მასშტაბით, რასაც უნდა აკეთებდეს ოფიციალურად სტატისტიკის დეპარტამენტი. დანამდვილებით ინფლაციის მაჩვენებელი იციან დეპარტამენტის იმ თანამშრომლებმა, რომლებიც ამ მონაცემებს ადგენენ. სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია მათ კაბინეტებს არ სცილდება. რატომღაც მთავრობას არ სურს გამოქვეყნდეს რეალური მაჩვენებელი, რადგან, ის არცთუ ისე დამაკმაყოფილებელია.

– მაინც რა შეიძლება ჩაითვალოს ინფლაციის ძირითად გამომწვევ მიზეზებად საქართველოში?

– ჩვენს ქვეყანაში ინფლაციის შემდეგი ტიპები არსებობს: პირველი – ეს არის „იმპორტირებული ინფლაცია“, რომელიც გამოწვეულია დანახარჯების ზრდით მხედველობაში მაქვს ფასების ზრდა მთელ მსოფლიოში ნავთობზე, სურსათზე და ა.შ. საქართველოში უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქტის გაძვირება ჯაჭვური რეაქციით აისახება აქ წარმოებულ პროდუქტზეც. ასე რომ, ეს არის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ინფლაციისა ჩვენს ქვეყანაში. პირობითად რომ დავარქვათ, ეს არის „იმპორტირებული ინფლაცია“.

მეორე მიზეზი დაკავშირებულია ე.წ. „ჰოლანდიურ დაავადებასთან“, რომლითაც ქვეყანა დაავადებულია უკვე 3 წელიწადზე მეტია. მე ამ საკითხზეც ბევრჯერ მისაუბრია, მათ შორის, თქვენი გაზეთის ფურცლებიდანაც. ამიტომ, მკითხველის ყურადღებას არ გადავლლი და მოკლედ გეტყვით: ქვეყანაში დიდი ოდენობით შემოდის უცხოური ინვესტიციები. შემოსული თანხა საჭიროებს კონვერტაციას ლარში და იზრდება მოთხოვნა ჩვენს ეროვნულ ვალუტაზე. ლარი რომ ძალიან არ გამყარდეს, ეროვნული ბანკი იძულებულია შეისყიდოს შემოსული დოლარები და ლარი გაყიდოს, ანუ, ლარის მასის მიწოდების გზით ხელი ეწყობა ინფლაციურ პროცესს. დასასრულ, მესამე ფაქტორი – ეს არის მთავრობის მიერ სოციალური პოპულიზმით დატვირთული პროგრამების რეალიზაცია. უნდა ვიცოდეთ, რომ სამომხმარებლო ბაზარზე გასული ყოველი დამატებითი

ლარი ინფლაციის მიზეზი ხდება.

– ბატონო ლადო, მოსალოდნელია თუ არა ლარის „გაკუპონება“?

– თეორიულად არაფერია გამორიცხული, თუმცა საქართველოს უკვე აქვს ამის მწარე გამოცდილება და ვფიქრობ, ვინც უნდა იყოს მთავრობაში, აქეთკენ ნაბიჯს არ გადადგამს. ყოველ შემთხვევაში, მჯერა, რომ ამ საკითხში ლადო გურგენიძეს ყოფნის კომპეტენტურობა, რომ ეს არ დაუშვას. მიუხედავად ჩემი მისდამი კრიტიკული დამოკიდებულებისა ბევრ საკითხში, მაინც გამოვრიცხავ, რომ მის ხელში ლარი გაკუპონდეს.

– სად არის გამოსავალი, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ჩვენი ეროვნული ვალუტა კუპონს არ დაემსგავსოს და არც ზედმეტად გამყარდეს?

– რა თქმა უნდა, ლარის გამყარება ცუდია, მაგრამ ეს ნაკლები უბედურებაა, ვიდრე ლარის კუპონიზაცია. გამოსავალი იცით რაშია? – მთავრობამ ეკონომია უნდა გასწიოს და შეასრულოს მხოლოდ ის სოციალური პროგრამები, რომელთა ვალდებულებაც უკვე აღებული აქვს. ამავე დროს ეროვნულმა ბანკმა უნდა განაგრძოს თავისი პოლიტიკა: ერთი წამითაც არ მოადუნოს ყურადღება, რომ ლარი ზომიერ მეტად არ გამყარდეს და ინფლაციაც არ გაექცეს ხელიდან. ეს მეთოდი აპრობირებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

– ერთი სიტყვით, ამ გზით შესაძლოა, რომ ინფლაციის მაჩვენებელმა დაბლა დაიწიოს?

– ოფიციალური მაჩვენებელი მთავარი არ არის. ის მაშინ დაიწევს, როცა სტატისტიკის დეპარტამენტს დაავალდებენ. მთავარია, რეალურმა ინფლაციამ დაიწიოს! ამისათვის კი საჭიროა მთელი რიგი ანტიინფლაციური ღონისძიებები, რომელიც მთავრობამ უნდა გაატაროს.

– დასასრულ, ჩვენი ეროვნული ვალუტა მჭიდროდ არის დაკავშირებული დოლართან, მოსალოდნელია თუ არა დოლარი ევრომ ჩანაცვლოს და, საერთოდ, მოსალოდნელია მისი კრახი?

– საქართველოში მართლაც ხდება დოლარის ჩანაცვლება ევროთი, ეს პროცესი ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. რაც შეეხება დოლარის კრახს, ვფიქრობ, რომ ეს გამორიცხულია. დოლარის აქტივებს ფლობს მსოფლიოს ძალიან ბევრი სახელმწიფო თუ ფინანსური კორპორაცია. დოლარის კრახი ხელს არ აძლევს, არა მარტო აშშ-ს, არამედ არავის მსოფლიოში, ვინც სადად აზროვნებს. ისინი ყველანაირად ეცდებიან, შეუნარჩუნონ დოლარს ძალა და გავლენა. სხვათა შორის, სპეციალისტთა პროგნოზით 2011 წლიდან, დოლარი

დაიწყებს გამყარებას და ნავთობის ფასიც შემცირდება. თუმცა, 2011 წლამდე
ჯერ უნდა მივაღწიოთ...

ხათუნა ჩიგოგიძე